ხელშეკრულება № 150 N11

გორი

15.02.2016 წ.

შპს "აქვა გეო",მისი გენერალური დირექტორი **ირაკლი უგლავა** შემდგომში როგორც "მიმწოდებელი" წარმომადგენელი მიხეილ მჭედლიშვილი (მინდ. N01/04 პ/ნ 59001021411)და **სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლა** .წარმოდგენილი მისი დირექტორის ჯუმბერ ტერუნაშვილის სახით,შემდგომშიროგორც "მომხმარებელი", ვაფორმებთ ამ ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი ყიდის, ხოლო მომხმარებელი ყიდულობს ნატურალურ მინერალურ წყალს "სნო"-ს 19 ლიტრიანი ბოცებით, (ტარის) გარეშე (შემდგომში `საქონელი"); (CPV15981000)

1.2 ხელშეკრულების 1.1 მიზნისათვის "მიმწოდებელი" დროებით სარგებლობისთვის გადასცემს "მომხმარებელს" წყლის დისპენსერებს, ბოცებს (19 ლ. პოლიკარბონატის ტარას) და ბოცის სადგამებს, რომლებიც გამოიყენება მიმწოდებლის საქონლის რეალიზაციის (მოხმარების) სტიმულირებისათვის. მომხმარებელზე გაცემული დისპენსერი, ბოცები და სადგამები გაყიდვამდე რჩება მიმწოდებლის საკუთრებაში;

1.3 დისპენსერის, ბოცების (ტარის) და სადგამის რაოდენობა (შემდგომში `ინვენტარი'), ასევე მათი განთავსების მისამართები მოცემულია მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. "მიმწოდებლის" ვალდებულებები:

- მიმწოდებელი ვალდებულია დროებით სარგებლობაში გადასცეს "მომხმარებელს" ინვენტარი, ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ინვენტარის და საქონლის მიწოდება საკუთარი საშუალებებით. საქონლის ოდენობა და მიტანის ვადები თანხმდება ყოველ შეკვეთაზე წერილობითი სახით ან სატელეფონო შეტყობინებით;
- მიმწოდებელი ვალდებულია მომხმარებლის შეკვეთის საფუძველზე 6 თვეში ერთხელ შეასრულოს დისპენსერების სანიტარიზაციის სამუშაოები;
- მიწოდებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში დისპენსერზე ქარხნული წუნის/დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით შეაკეთოს, ან შეცვალოს წუნის მქონე დისპენსერი ვარგისი დისპენსერით;

2.2. "მომხმარებლის" ვალდებულებები:

- "მომხმარებელი" ვალდებულია მიიღოს და გამოიყენოს წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული ინვენტარი მხოლოდ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული დანიშნულებით. დაიცვას ინვენტარის ექსპლოატაციის პირობები, გაუფრთხილდეს და დაიცვას დაზიანებისაგან. მომხმარებლის, ან მესამე პირთა (განზრახვითი, ან გაუფრთხილებლობითი) ბრალეულობით გამოწვეულ დისპენსერების დაზიანების, მწყობრიდან გამოსვლის, ან მისი დაკარგვის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს თითოეულ დაზიანებულ დისპენსერზე **300 (სამასი)** ლარი დღგ-ს

ჩათვლით, აღნიშნული დაზიანების/დანაკლისის დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

• მომხმარებელი ვალდებულია ყოველ გადაცემულ დისპენსერზე მოიხმაროს/შეიძინოს თვეში არანაკლებ **4 (ოთხი)** 19 ლიტრიანი ბოცა წყალი, ხოლო მინიმალური შეკვეთის მოცულობაა **4** ბოცა;

• მომხმარებელი ვალდებულია გამოიყენოს ინვენტარი მხოლოდ დანიშნულებისამებრ, არ მოახდინოს ბოცებში (ტარაში) რაიმე სხვა სითხის ან ნივთიერების მოთავსება;

• მომხმარებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე საქონლის მიწოდებისას დააბრუნოს მიწოდების ოდენობის შესაბამისი ცარიელი ბოცა (ტარა) ვარგის მდგომარეობაში, განსხვავების შემთხვევაში დგება მიღება-ჩაბარების აქტი სხვაობის რაოდენობაზე.

• მომხმარებელი ვალდებულია მიმწოდებელს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ინვენტარი და განახორციელოს მისი აღრიცხვა-ინვენტარიზაცია;

• მომხმარებელი ვალდებულია ინვენტარის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირებული დანაკლისის შემთხვევაში გადაიხადოს თითოეული დაკარგულ/დაზიანებულ ბოცაზე (ტარაზე) – 20 (ოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, ხოლო თითოეულ დაკარგულ/დაზიანებულ ბოცის სადგამზე – 15 (თხუთმეტი) ლარი დღგ-ს ჩათვლით აღნიშნული დაზიანება/დანაკლისების დაფიქსირებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

• მომხმარებელი ვალდებულია მიმწოდებელთან წინასწარი შეათანხმების გარეშე არ გადაადგილოს დისპენსერები სხვა მისამართზე;

• მომხმარებელს არა აქვს უფლება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ანალოგიური ურთიერთობა დაამყაროს წყლის მწარმოებელ, ან დისტრიბუტორ კომპანიებთან და შეიძინოს მათგან იდენტური მომსახურეობა (ანალოგიური მოცულობის ბალონებში სხვა დასახელების წყლის შეძენა);

• წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ინვენტარი ვარგის მდგომარეობაში მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;

3. საქონლის ფასი და გადახდის პირობები

3.1 ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვროს არა უმეტეს 350 ლარით.

3.2 ერთი 19 ლიტრიანი ბოცა წყლის ღირებულება ტარის გარეშე შეადგენს **10 ლარს (ათი ლარი და 00 თეთრი) დღგ-ს ჩათვლით.** ამასთან, მიმწოდებელი იტოვებს უფლებამოსილებას ცალმხრივად განახორციელოს საქონლის ღირებულებების ცვლილებები, თუ:

ა) მომხმარებელი მოიხმარს (შეიძენს) **4** ბოცაზე ნაკლებს, ამ შემთხვევაში საქონლის ღირებულება მომდევნო თვიდან გაიზრდება 1 (ერთი) ლარით და აღნიშნული ფასი შენარჩუნდება მანამ, სანამ არ აღდგება მინიმალური მოხმარების პირობა, რომლის აღდგენის შემთხვევაში მომდევნო თვიდან საქონლის ფასი დაკორექტირდება და დაიწევს საწყის ნიშნულამდე;

ბ) სამომხმარებლო ბაზარზე მოხდა ფასების მნიშვნელოვანი ცვლილებები;

3.3 მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს მიწოდებული "საქონლის" საზღაური ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით. ნაღდი ანგარიშსწორების შემთხვევაში, საზღაური გადაიხდება საქონლის მიწოდებისთანავე, მიმწოდებლის მიერ წარდგენილი სასაქონლო

ზედნადების საფუძველზე. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია საქონლის საზღაური ჩარიცხოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, საქონლის მიწოდებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.4 ერთჯერადი ჭიქები: **100 (ასი)** ცალი ჭიქის ღირებულება შეადგენს **1.8 ლარს (ერთი ლარი და 80 თეთრი) .**

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადახდის ვადის 10 (ათი) დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს წარუდგინოს მომხმარებელს წერილობითი მოთხოვნა საჯარიმო სანქციის გადახდის შესახებ (პირგასამტეხლო) გადაუხდელი ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისათვის, დაწყებული ვადაგადაცილების მეორე კალენდარული დღიდან.

4.2. საჯარიმო სანქცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხარეთა შეხედულებისამებრ და ჩაითვალოს სავალდებულო გადასახადად მხარის მიერ შესაბამისი წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მომენტიდან.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. ამ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა (მოშლა) შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით, ან მიმწოდებლის მიერ გაკეთებული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, თუ მომხმარებლი უხეშად, ან სისტემატიურად არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

5.2 თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ერთი თვით ადრე არცერთი მხარე წერილობით არ განაცხადებს ხელსეკრულების შეწყვეტის შესახებ, ამ ხელსეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება 1 (ერთი) წლის ვადით;

6. დასკვნითი დებულებები

6.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით. ამასთან, ყველა ცვლილება ანდა დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით და ხელმოწერილ იქნას მხარეთა მიერ. ეს არ ეხება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებლის უფლებამოსილებას ცალმხრივად გაზარდოს საქონლის ღირებულება;

6.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო.

6.3. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული პირის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე მომხმარებელს.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა:

მიმწოდებელი: შპს "აქვა გეო" ს/კ **204564113** მის: მცხეთის რ/ნი, ს. მისაქციელი ტელ: 2470412; ფაქსი: 2470411 ელ.ფოსტა: dispenser@aquageo.ge ბანკი: სს "საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 მიმღების **IBAN:** GE96BG0000000621671500	მომხმარებელი: სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზერტის საჯარო სკოლა. ს/კ 218047227 მის: გორი / სოფ.ზერტი ტელ.: 577922510
გენერალური დირექტორი: ირაკლი უგლავა	დირექტორი: ჯუმბერ ტერუნაშვილი
წარმომადგენელი: მიხეილ მჭედლიშვილი ----------	----------